N 996-49
12/10/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს
ბ-ნ დავით დევდარიანს
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის
ვლადიმერ გელაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ ხარაგაულდასუფთავების 2016 წლის 12 ოქტომბრის N 145 მომართვის თანახმად ოქტომბრის თვის ხელფასებისა და სხვა გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად დამატებით ესაჭიროება 50,0 ათასი ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების ანგარიშიდან გამომდინარე შესაძლებელია აღნიშნული ხარჯების დაფინანსების წყაროდ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69 მუხლის ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“- პროგრამული კოდი 03 00, მოხდეს ქვეპროგრამებს შორის ცვლილება, კერძოდ:

შემცირდეს ,,გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვის ხარჯები“ ქვეპროგრამის კოდი 03 01 01 50,0 ათასი ლარით და გადატანილი იქნას ქვეპროგრამა 03 02 02 ,,დასუფთავების ღონისძიებები და მაწანწალა ძაღლების იზოლაცია“ სუბსიდიაში.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი